

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი
Georgian Adult Education Network (GAEN)

# კურსების კატალოგი

2019

# საქართველოს  ზრდასრულთა განათლების ქსელი

## Georgian Adult Education Network

*არაფორმალური ზრდასრულთა განათლების განვითარებისა და გაძლიერების მხარდაჭერა საქართველოში*

*Supproting Non-formal Adult Education Development and Strengthening in Georgia*

(პროექტი ხორციელდება გერმანიის სახალხო უნივერსიტეტთა ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის *(DVV International)* საქართველოს ოფისის ფინანსური მხარდაჭერით)

ამბროლაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი
Ambrolauri Adult Education Center

# ამბროლაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრში დაგეგმილი და მიმდინარე კურსები

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი
Georgian Adult Education Network (GAEN)

| კურსის დასახელება | დაწყების თარიღი/ხანგრძლივობა | კურსის მოკლე აღწერა |
|---|---|---|
| ინგლისური ენის კურსი | 2019 წლის თებერვალი<br>3 თვიანი კურსი |  *კურსი მოიცავს საბაზისო საფეხურს–საკომუნიკაციო ენის სწავლებას.* |
| ბუღალტერიის კურსი  | 2019 წლის თებერვალი<br>3 თვიანი კურსი | *კურსის ფარგლებში ისწავლება დეკლარაციების შევსება, მცირე ბიზნესის და საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოება, მაღალმთიანობის კანონთან დაკავშირებული საგადასახადო შეღავათების საკითხები.* |
| სახელმწიფო შესყიდვების კურსი | 2019 წლის თებერვალი<br>3 თვიანი კურსი | *ბენეფიციარები სწავლობენ სახელმწიფო შესყიდვების ელექრონულ სისტემასთან მუშაობასა და შესყიდვებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოებას.* |
| თექის კურსი | 2019 წლის თებერვალი<br>3 თვიანი კურსი | *კურსის ფარგლებში ისწავლება თექაზე მუშაობა.*  |

| | | |
|---|---|---|
| სამოქალაქო განათლება | 2019 წლის თებერვალი, მარტი, აპრილი -1 თვიანი კურსი | *კურსის მიზანია სამოქალაქო განათლების მიღება და ცნობიერების ამაღლება, შესაბამისი ღონისძიებების, აქტივობების დაგეგმვა განხორციელება, და თემში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება.* |
| ხის მხატვრული დამუშავება | 2019 წლის თებერვალი<br>4 თვიანი კურსი | *კურსის ფარგლებში ისწავლება ხის დამუშავება და ნაკეთობების შექმნა, ძველი რაჭული ჩუქურთმების მოძიება და დამზადება.* |
| სანტექნიკის კურსი | 2019 წლის თებერვალი<br>3 თვიანი კურსი | *კურსის ფარგლებში ისწავლება სანტექნიკის მონტაჟი.* |
| ხელნაკეთი ნივთების კურსი | 2019 წლის თებერვალი<br>3 თვიანი კურსი | *კურსის ფარგლებში ბენეფიციარები სწავლობენ სხვადასხვა სუვენირების შექმნას.* |
| ქარგვა და აპლიკაციების შექმნის კურსი | 2019 წლის მარტი<br>2 თვიანი კურსი | *კურსის ფარგლებში ისწავლება, როგორც ქარგვა და ქსოვა, ასევე აპლიკაციების შექმნა.* |
| კერვის კურსი | 2019 წლის მარტი<br>3 თვიანი კურსი |  |

| | | |
|---|---|---|
| ტრადიციული რაჭული სამზარეულოს კურსი | 2019 წლის მარტი<br>2 თვიანი კურსი | *კურსი მოიცავს ძველი რაჭული კვების პროდუქტების მოძიებასა და დამზადების ტექნოლოგიების სწავლებას.* |
| ბიზნესისა და მარკეტინგის კურსი | 2019 წლის მარტი<br>3 თვიანი კურსი | *კურსი მიზნად ისახავს მსმენელთათვის მეწარმის უნარ-ჩვევების განვითარებას, რათა თითოეულმა მათგანმა შეძლოს ბიზნესის დარეგისტრირება, დაგეგმვა, ორგანიზება, პროდუქციის/მომსახურების რეალიზაცია, ადამიანური რესურსების მართვა და ფინანსური გეგმის შედგენა.* |
| ეკო–ტურიზმის კურსი | 2019 წლის თებერვალი<br>3 თვიანი კურსი | *კურსის მიზანია ეკოჰაბის განვითარება და რაჭის ტურისტული პოტენციალის შესწავლა და რეკლამირება.* |
| ავტომობილის მართვის სწავლების კურსი | 2019 წლის მაისი<br>1 თვიანი კურსი |  *კურსის ფარგლებში შეისწავლიან ავტომობილის მართვის თეორიულ კურსს.* |
| კომპიუტერის საოფისე პროგრამების კურსი | 2019 წლის მარტი<br>3 თვიანი კურსი | *მსმენელები შეისწავლიან საოფისე პროგრამებსა და ინტერნეტთან მუშაობას.* |

დაინტერესების შემთხვევაში დაუკავშირდით ცენტრს

მისამართ: ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N 39     ელ.ფოსტა: nana.soxadze@yahoo.com

ახალციხის ზრდასრულთა განათლების ცენტრი
Akhaltsikhe Adult Education Center

## ახალციხის ზრდასრულთა განათლების ცენტრში დაგეგმილი და მიმდინარე კურსები

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი
Georgian Adult Education Network (GAEN)

| **კურსის დასახელება** | **დაწყების თარიღი/ ხანგრძლივობა** | **კურსის მოკლე აღწერა** |
| --- | --- | --- |
| ინგლისური ენის კურსი  | იანვარი 2019<br>3 თვიანი კურსი (თითოეული დონე) | *კურსის ფარგლებში ჯგუფები დაყოფილია დონეებისა და მიმართულებების მიხედვით. მეთოდოლოგიურად სწავლება მიმართულია სასაუბრო და გრამატიკული უნარ-ჩვევების განვითარებისაკენ.* |
| რუსული ენის კურსი | იანვარი 2019<br>3 თვიანი კურსი<br>(თითოეული დონე) | *კურსი მოიცავს რუსული ენის საფუძვლიან შესწავლას, როგორც გრამატიკულად, ასევე სასაუბრო უნარ-ჩვევების განვითარებასა და გაუმჯობესებას.* |
| საოფისე პროგრამები | იანვარი 2019<br>2 თვიანი კურსი | *კურსი მიმართულია საოფისე პროგრამების (MS OFFICE) შესწავლისაკენ. კონკრეტულად მოიცავს Microsoft Word, Microsoft Excel, Microsoft PowerPoint-სა და ინტერნეტში მუშაობას.* |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| ხის სუვენირების დამზადება | იანვარი 2019<br><br>3 თვიანი კურსი | *ხის სუვენირების დამზადების კურსი მოიცავს: დანადგარებთან მუშაობის, ხის დამუშავებისა და მისთვის სხვადასხვა საინტერესო ფორმის მიცემის შესწავლას. ბენეფიციარები საკუთარი ხელით ამზადებენ ხის სხვადასხვა სუვენირებს, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ ზრდასა და სამომავლოდ შესაძლებლობას აძლევს თვითდასაქმებისათვის.* |
| ჭრა-კერვა<br><br> | აპრილი 2019<br><br>2 თვიანი კურსი | *ჭრა-კერვის კურსის ფარგლებში, მსმენელები სწავლობენ სხვადასხვა სირთულის საკერავ მანქანასთან მუშაობას, თარგის გამოჭრას, მსგავსი მცირე დეტალების გაკეთებასა და უშუალოდ ტანისამოსის შეკერვას.* |

რეგისტრაციისათვის მობრძანდით ჩვენს ოფისში. მის: ქ. ახალციხე რუსთაველის ქუჩა #65.

ან მოგვწერეთ facebook გვერდზე [https://www.facebook.com/AECAkhaltsikhe/](https://www.facebook.com/AECAkhaltsikhe/)

ახალქალაქის ზრდასრულთა განათლების ცენტრი
Akhalkalaki Adult Education Center

## ახალქალაქის ზრდასრულთა განათლების ცენტრში დაგეგმილი და მიმდინარე კურსები

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი
Georgian Adult Education Network (GAEN)

| კურსის დასახელება | დაწყების თარიღი/ხანგრძლივობა | კურსის მოკლე აღწერა |
|---|---|---|
| კომპიუტერის შემსწავლელი კურსი | 1 მარტიდან-31 აპრილამდე<br><br>2 თვიანი კურსი | *კურსის ფარგლებში ისწავლება კომპიუტერის საოფისე პროგრამების I და II დონე* |
| ქართული ენის შემსწავლელი კურსი | 1 მარტიდან-31 აპრილამდე<br><br>2 თვიანი კურსი | *ქართული ენის კურსი იყოფა A1, A2 და B1 დონეებად (მსმენელთა თავდაპირველი დონის შესაბამისად)* |
| ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი<br><br> | 1 მარტიდან-31 აპრილამდე<br><br>2 თვიანი კურსი | *კურსის ფარგლებში ისწავლება ინგლისურის A1, A2 და B1 დონე (მსმენელთა თავდაპირველი დონის შესაბამისად).* |

| | | |
|---|---|---|
| მაგიდის დიზაინი | 1 მარტიდან-31 აპრილამდე<br><br>2 თვიანი კურსი | *კურსი მოიცავს სხვადასხვა ელემენტების შექმნასა და მაგიდის გაფორმების ელემენტებს.* |
| სახელობო კურსები (ჭრა კერვა, ქსოვა, ქარგვა)<br> | 1 მარტიდან-31 აპრილამდე<br><br>2 თვიანი კურსი | *კურსის ფარგლებში ისწავლება მარტივი თარგებით სხვადასხვა სამოსისა და ნივთების შეკერვა, მოქარგვა და სუვენირების დამზადება.* |

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ცენტრს

ელ-ფოსტა: shtetvadze@gmail.com

ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი
Chokhatauri Adult Education Center

## ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრში დაგეგმილი და მიმდინარე კურსები

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი
Georgian Adult Education Network (GAEN)

| კურსის დასახელება | დაწყების თარიღი/ხანგრძლივობა | კურსის მოკლე აღწერა |
|---|---|---|
| კომპიუტერის შემსწავლელი კურსი | I ნაკადი -აპრილი<br>II ნაკადი - ივნისი<br>2 თვიანი კურსი | *ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა- 7*<br>*შეხვედრები ტარდება კვირაში 2-ჯერ 1,5 საათი.* |
| ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი | I ნაკადი - 1 მარტი<br>II ნაკადი - მაისი<br>2 თვიანი კურსი | *ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა-8*<br>*გაკვეთილი ტარდება კვირაში ორჯერ 1,5 საათი.*<br><br> |
| ოფისის მენეჯერის კურსი | I ნაკადი - 15 მარტი<br>II ნაკადი - მაისი<br>2 თვიანი კურსი | *ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა-7*<br>*გაკვეთილის ხანგრძლივობა 1,5 საათი.*<br>*გაკვეთილი ტარდება კვირაში ორჯერ.* |
| ხელსაქმე და სუვენირების დამზადების კურსი | I ნაკადი -1 თებერვალი<br>II ნაკადი - აპრილი<br>2 თვიანი კურსი | *მსმენელთა რაოდენობა -7*<br>*გაკვეთილი ტარდება კვირაში ორჯერ 3 საათი. პროგრამა მოიცავს, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს. სწავლის პერიოდში მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან სასწავლო მასალით.* |

| | | |
|---|---|---|
| ჭრა-კერვისა და მოდელირების შემსწავლელი კურსი  | I ნაკადი - 1 მარტი<br>II ნაკადი - ივნისი<br>2 თვიანი კურსი | *მსმენელთა რაოდენობა -9,*<br>*გაკვეთილი ტარდება კვირაში ორჯერ 3 საათი.*<br>*პროგრამა მოიცავს, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს. სწავლის პერიოდში მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან სასწავლო მასალით.* |
| ხეზე კვეთის კურსი | აპრილი<br>3 თვიანი კურსი | *მსმენელთა რაოდენობა -10,*<br>*გაკვეთილი ტარდება კვირაში ორჯერ 3 საათი. პროგრამა მოიცავს, როგორც თეორიულს, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს. სწავლის პერიოდში მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან სასწავლო მასალით.* |

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: დაბა ჩოხატაური, წერეთლის ქ.#1 ,( მერიის პირდაპირ).

ელ-ფოსტა nanatsintsadze777@gmail.com

ჯვარის სათემო განათლების ცენტრი
Jvari Community Education Center

# ჯვარის სათემო განათლების ცენტრში დაგეგმილი და მიმდინარე კურსები

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი
Georgian Adult Education Network (GAEN)

| კურსის დასახელება | დაწყების თარიღი/ხანგრძლივობა | კურსის მოკლე აღწერა |
|---|---|---|
| კომპიუტერის კურსი | 5.07.2019-5.10.2019<br>3 თვიანი კურსი | *კურსი განკუთვნილია ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვის. კურსის ფარგლებში ისწავლება კომპიუტერის ძირითადი აგებულება, ფუნქციები და ისეთი პროგრამების გამოყენება, როგორიცაა: Microsoft Word, Excel ,Powerpoint.* |
| ინგლისური ენის კურსი | 5.06.2019-5.09.2019<br>5.09.2019-5.12.2019<br>3 თვიანი კურსი | *კურსი განკუთვნილია ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვის. სწავლების მეთოდი ითვალისწინებს ხუთ მნიშვნელოვან პუნქტს: გრამატიკას, საუბარს, მოსმენას (აუდიოსწავლებას), წერისა და კითხვის უნარების გაუმჯობესებას.* |
| ოფის მენეჯერის კურსი | 01.02.2019-30.03.2019<br>01.04.2019-30.05.2019 | *ოფის მენეჯერის კურსი განკუთვნილია იმ ადამიანებისთის, რომლებსაც სურვილი აქვთ იმუშაონ ორგანიზაციებში ადმინისტრაციულ მენეჯერად; უკვე დასაქმებული ოფის მენეჯერებისთვის, რომლებსაც სურთ კვალიფიკაციის ამაღლება ადმინისტრაციული მენეჯერის დონეზე; ადამიანებისთვის, რომლებსაც აქვთ მცირე ბიზნესი და ესაჭიროებათ საოფისე პროცედურების ეფექტურად მართვის დანერგვა თავიანთ საქმეში.* |

| | | |
|---|---|---|
| | 01.06.2019-30.07.2019<br>01.08.2019-30.09.2019<br>2 თვიანი კურსი | |
| მცირე მეწარმის კურსი | 01.02.2019-01.04.2019<br>05.04.2019-05.09.2019<br>3 თვიანი კურსი | *მცირე მეწარმის კურსის მსმენელები არიან ადამიანები, რომელთაც დიდი სურვილი აქვთ შემდგომში სამეწარმეო საქმიანობა წამოიწყონ. კურსზე ისწავლება მცირე ბიზნესის რეგისტარციის, შემოსავლების სამსახურთან ურთიერთობის, საბუღალტრო დოკუმენტების წარმოებისა და მარკეტინგული გათვლების საკითხები.* |
| ახალგაზრდული პროგრამები | 01.03.2019-30.12.2019<br>10 თვიანი კურსი |  |
| შედუღების კურსი | 01.03.2019-01.06.2019<br>3 თვიანი კურსი |  |

| | | |
|---|---|---|
| სარემონტო სამუშაოების კურსი | 05. 06.2019-05.09.2019<br>3 თვიანი კურსი |  |
| ბუღალტერიის კურსი | 20.02.2019<br>4 თვიანი კურსი | *კურსი რეკომენდირებულია ნებისმიერი პროფესიის ადამიანისთვის, რომელიც ახლა აპირებს ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიონალურ დონეზე შესწავლას. კურსი მოიცავს ბუღალტერიული აღრიცხვის ძირითად ცნებებსა და განმარტებებს, დაანგარიშებასა და დეკლარირებას, ფინანსური შედეგების განსაზღვრას (მოგება-ზარალი), და ასევე საგადასახადო ვალდებულებებს (დღგ, საშემოსავლო, ქონების გადასახადი, მოგების გადასახადი).* |
| სტილისტის კურსი | 20.02.2019<br>4 თვიანი კურსი | *სწავლება ხდება თეორიულად და პრაქტიკულად. ( კურსში ისწავლება : თმის შეჭრა (ქალი, კაცი) , შეღებვა, დავარცხნა და ა. შ)* |
| ჭრა კერვის კურსი | 20.02.2019<br>4 თვიანი კურსი | *კურსი მოიცავს: თარგების შედგენას, მოდელირებას, დეკორის ელემენტებს ტანსაცმელში, საკერავ მანქანასთან მუშაობას და ა.შ. სწავლება ხდება, როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად.*  |
| თექის კურსი | 20.02.2019<br>4 თვიანი კურსი | *პროგრამა მოიცავს სხვადასხვა ტექნოლოგიური ხერხებით, როგორც ხელოვნური ასევე ბუნებრივი მატყლის გამოყენებით , ტრადიციული და თანამედროვე ხელნაკეთი ნივთების დამზადებას.* |

| | | |
|---|---|---|
| ქსოვა-ქარგვის კურსი | 20.02.2019<br>4 თვიანი კურსი | *პროგრამა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს :*<br>*ქსოვა ჩხირებით, ქსოვა ყაისნახით და ქარგვა.*<br> |
| კულინარიის კურსი | 20.02.2019<br>4 თვიანი კურსი | *სწავლება ხდება თეორიულად და პრაქტიკულად.*<br>*კურსი გათვლილია მათთვის, ვისაც სურვილი აქვთ პროფესიულ დონეზე შეისწავლონ კულინარის პროფესია. კურსი მოიცავს, როგორც კერძების მომზადებას, ასევე ჰიგიენური ნორმების დაცვას და ა.შ.*<br> |
| მანიკურ პედიკურის კურსი | 20.02.2019<br>4 თვიანი კურსი | *კურსში ისწავლება უახლოესი მეთოდით მანიკურ- პედიკურის გაკეთება, ტერფის დამუშავება გელის საშუალებით, შილაკი, ევროპული მანიკური, ფრენჩი, ფრჩხილის დაგრძელება და ა. შ.* |

რეგისტრაციისთ გასავლელად მიმართეთ ცენტრის ადმინისტრაციას.

მისამართი: ჭიჭინაძის N5 ა(ა)ი პ ჯვარის სათემო განათლების ცენტრი

ელ-ფოსტა: jvari.cec.@gmail.com

ქედის ზრდასრულთა განათლების ცენტრი
Keda Adult Education Center

## ქედის ზრდასრულთა განათლების ცენტრში დაგეგმილი და მიმდინარე კურსები

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი
Georgian Adult Education Network (GAEN)

| კურსის დასახელება | დაწყების თარიღი/ხანგრძლივობა | კურსის მოკლე აღწერა |
|---|---|---|
| ინგლისური ენის კურსი აბიტურიენტებისათვის | 28.01.2019<br>5 თვიანი კურსი | *კურსის ფარგლებში მსმენელები შეისწავლიან ეროვნული გამოცდებისათვის საჭირო მასალებს. (გრამატიკული ნაწილი, მოსასმენი ტექსტები და ა.შ)* |
| ზოგადი უნარების კურსი | 29.01.2019<br>4 თვიანი კურსი | *კურსის ფარგლებში ბენეფიციარები შეისწავლიან ეროვნული გამოცდებისათვის საჭირო მასალებს. (ზოგადი უნარების ვერბალური და მათემატიკური ნაწილი).* |
| ინგლისური ენის კურსი პატარებისათვის | 07.02.2019<br>3 თვიანი კურსი | *კურსის ფარგლებში ისწავლება სკოლის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები (მესამე კლასის პროგრამა).* |

| | | |
|---|---|---|
| ქსოვის კურსი  | 11.03.2019<br>3 თვიანი კურსი<br>(წლის განმავლობაში დაგეგმილია კიდევ ერთი ნაკადი) | *კურსის ფარგლებში შეისწავლიან ფაჩუჩების, მოსასხამის, პლედისა და საყურეების ორნამენტებით ქსოვას, ქართული სუფრის დამახასიათებელი ატრიბუტების მოქსოვას, საქართველოსა და ევროკავშირის დროშის გამოსახულებით ჩანთის მოქსოვას.* |
| ხელსაქმისა და სუვენირების დამზადების კურსი | 13.03.2019<br>3 თვიანი კურსი<br>(წლის განმავლობაში დაგეგმილია კიდევ ერთი ნაკადი) | *კურსის ფარგლებში შეისწავლიან სამუშაო იარაღებს, ყაისნაღით თვლების ამოღებასა და ყვავილების, ფოთლების, ზურგჩანთის, საზაფხულო შლაპის, ჩანთისა და მოსასხამის მოკინთვას.* |
| კომპიუტერის საოფისე პროგრამების კურსი | 11.03.2019<br>4 თვიანი კურსი | *კურსის ფარგლებში შეისწავლიან MS. Office (Word, Excel, Power Point, ინტერნეტთან მუშაობა)* |

| | | |
|---|---|---|
| მართვის მოწმობის თეორიული კურსი | 18.03.2019<br>2 თვიანი კურსი<br> | *კურსის ფარგლებში შეისწავლიან მართვის მოწმობის თეორიულ ნაწილს B-B1 კატეგორიისათვის.* |
| კულინარიის კურსი | 18.03.2019<br>3 თვიანი კურსი<br>(წლის განმავლობაში დაგეგმილია კიდევ ერთი ნაკადი) | *კურსის ფარგლებში შეისწავლიან ცხელი და ცივი კერძების (სალათების) მომზადებას.*<br> |
| **ამასთანავე დაგეგმილია იატაკის მოპირკეთების, ლამინატისა და მეტალო-პლასტმასის 3 თვიანი კურსები.<br>დაინტერესების შემთხვევაში მიმართეთ ცენტრის ადმინისტრაციას.** | | |

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ქედის ცენტრს.

მისამართი: დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის №10

ელ-ფოსტა: Aec.keda@gmail.com

ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრი
Leliani Adult Education Center

# ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრში დაგეგმილი და მიმდინარე კურსები

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი
Georgian Adult Education Network (GAEN)

| კურსის დასახელება | დაწყების თარიღი/ ხანგრძლივობა | კურსის მოკლე არწერა |
|---|---|---|
| ინგლისური ენის კურსი | 12.02.2019<br>2 თვიანი კურსი | *ინგლისური ენის კურსის მსმენელები შეისწავლიან სასაუბრო-საკომუნიკაციო ინგლისურს II დონე*<br>*(შესაძლებელია 15 აპრილიდან 15 ივნისის ჩათვლით გაგრძელდეს III საფეხური)* |
| მენეჯმენტი და სასტარტო ბუღალტერია | 05.03.2019<br>3 თვიანი კურსი | *კურსი მოიცავს მენეჯმენტის საკითხებს ნებისმიერი სახის საქმიანობის წამოწყების და მართვისთვის. ბუღალტერიის ისეთ დონეს, რომელიც საჭიროა პირველადი საქმის წარმოებისას დამწყები მცირე მეწარმეებისთვის.* |
| ფართო პროფილის მშენებლის კურსი | 06.02.2019<br>3 თვიანი კურსი | *აღნიშნულ კურსზე მიმდინარეობს შეკიდული ჭერის, (შესაძლებელია კედლებზე განთავსება) ცემენტის იატაკის მოჭიმვისა და კაფელ-მეტლახის დაგების სწავლება.* |
| ელექტრო შედუღების კურსი | 01.02.2019<br>2 თვიანი კურსი | *აღნიშნულ კურსზე მიმდინარეობს ელ. შედუღების სწავლება სხვადასხვა ლითონის კონსტრუქციების შესაქმნელად. მაგ. როგორიცაა თაროები, მაგიდები, დაზიანებული ნივთების გამაგრება და სხვ.* |

| | | |
|---|---|---|
| მებაღეობის კურსი | მიმდინარეობს რეგისტრაცია, ჯგუფის შევსების შემთხვევაში აპრილში გაიხსნება 2 თვიანი კურსი |  |
| ჭრა-კერვის კურსი | მიმდინარეობს რეგისტრაცია, ჯგუფის შევსების შემთხვევაში გაიხსნება 1 აპრილს/ 2 თვიანი კურსი |  |
| ჯანსაღი სიბერის კლუბი/კურსი | 13.02.2019<br>6 თვიანი კურსი | *კურსი მოიცავს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, ფუნქციონირებს გამაჯანსაღებელი ვარჯიშისა და იოგის ქალთა დახურული ჯგუფი.* |

მიმდინარე და დაგეგმილი კურსების რეგისტრაციისთვის მსურველები დაუკავშირდით ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრს სოციალური ქსელის, ან ადგილზე ცენტრში ვიზიტის საშუალებით.

მათთვის სასურველი კურსის დეტალური ინფორმაციის მისაღებად ესწრებიან კურსის საინფორმაციო შეხვედრას და დაინტერესების შემთხვევებში ერთვებიან კურსის მიმდინარეობაში.

ტელ: 790 41 45 26

**კოდის სათემო განათლების ცენტრში დაგეგმილი და მიმდინარე კურსები**



| **კურსის დასახელება** | **დაწყების თარიღი/ხანგრძლივობა** | **კურსის მოკლე აღწერა** |
| --- | --- | --- |
| ელექტრო გაყვანილობისა და შიდასარემონტო სამუშაოების კურსი | 2019 წლის აპრილი-ივნისი<br>3 თვიანი კურსი | *კურსის მსმენელები სწავლობენ ელექტრო გაყვანილობის დამონტაჟებას, გადიან როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ კურსს.* |
| თექის კურსი<br> | 2019 წლის აპრილი-ივნისი<br>3 თვიანი კურსი | *თექის კურსზე შეისწავლიან, როგორც მშრალ თექას, ასევე სველ თექას. მსმენელები შეისწავლიან სათამაშოების, აქსესუარების და შარფების დამზადების ტექნიკას.* |
| ქვილთის კურსი (სათამაშოები, ჩანთები, ქვილთი) | 2019 წლის სექტემბერი-ნოემბერი<br>3 თვიანი კურსი | *ქვილთის კურსზე ისწავლება ნარჩენი ნაჭრისგან სხვადასხვა ნივთების შეკერვა, ასევე ტანსაცმლის გადაკეთება. კურსი მიმდინარეობს პრაქტიკულად.* |
| ბიზნესის საკონსულტაციო კურსი | 2019 წლის იანვარი-დეკემბერი<br>(კურსი მიმდინარეობს მთელი წლის მანძილზე) | *ნებისმიერ მსურველს აქვს საშუალება ისწავლოს პროექტების წერა და ფონდების მოძიება. ტრენერი კონსულტაციას უწევს ყველა დაინტერესებულ პირს, ვინც ამზადებს საგრანტო განაცხადებს.* |
| ტიხრული მინანქრის კურსი | 2019 წლის მარტი-ნოემბერი<br>კურსი მიმდინარეობს 9 თვის | *ტიხრული მინანქრის კურსზე ისწავლება ტიხრული მინანქრის დამზადების ტექნოლოგია. კურსის მსმენელები გადიან, როგორც* |

| | | |
|---|---|---|
| | მანძილზე | *თეორიულ, ასევე პრაქტიკულ კურსს. თეორიულ მასალას გადიან წინასწარ მომზადებული მოდულებით* |
| სამშენებლო და ფართო პროფილის სამუშაოების კურსი | 2019 წლის მარტი-ნოემბერი კურსი მიმდინარეობს 9 თვის მანძილზე | *სამშენებლო და ფართო პროფილის სამუშაოების კურსზე შეისწავლიან, როგორც შიდა სარემონტო, ასევე სხვა ყველა იმ სამუშაოს, რომელიც მშენებლობასთან არის დაკავშირებული. ამასთანავე, მსმენელები სწავლობენ სანტექნიკის დამონტაჟებას.* |
| დიზაინი და დეკორაციის კურსი | 2019 წლის მარტი-მაისი 3 თვიანი კურსი | *კურსზე შეისწავლება მეორადი მასალისგან დეკორაციული ნივთების დამზადება ეზოებისთვის.* |
| ინგლისური ენის კურსი ბავშვებისთვის  | 2019 წლის მარტი-ივლისი სექტემბერი-დეკემბერი | *ინგლისურის კურსზე ბავშვები სწავლობენ კლასგარეშე დამატებითი მასალით ინგლისურს. კურსზე გამოყენებულია თამაშით სახალისო სწავლება.* |

დაინტერესების შემთხვევაში მიმართეთ ცენტრს

ელ.ფოსტა: [madonaoqropiridze@yahoo.com](mailto:madonaoqropiridze@yahoo.com)

# სენაკის სათემო განათლების ცენტრში დაგეგმილი და მიმდინარე კურსები

| კურსის დასახელება | დაწყების თარიღი/ხანგრძლივობა | კურსის მოკლე აღწერა |
|---|---|---|
| სტილისტის კურსი | 1 მარტი<br>4 თვიანი კურსი | *კურსის ფარგლებში ბენეფიციარები შეისწავლიან სტილისტის ძირითად ფუნქცია-მოვალეობებს: თმის შეჭრა, შეღებვა, თავის კანის მოვლასა და სხვა.* |
| კოსმეტოლოგიისა და მაკიაჟის კურსი | 1 მარტი<br>4 თვიანი კურსი | *კოსმეტოლოგიისა და მაკიაჟის კურსი მოიცავს, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სწავლებას. კურსის ფარგლებში შეისწავლიან კანის მოვლისა და გაჯანსაღების სხვადასხვა პროცედურებს.*<br>*კურსის გავლის შემდეგ ბენეფიციარი შესაძლებელია დასაქმდეს სილამაზის ცენტრებსა და სალონებში, კოსმეტოლოგიურ ცენტრებში, კოსმეტოლოგიურ კაბინეტებში, სალონ-სტუდიებში, სასტუმროებში, გამაჯანსაღებელ ცენტრებში, ასევე, შეუძლია ჰქონდეს პირადი კაბინეტი.* |
| ელექტრო მემონტაჟის კურსი<br> | 1 მარტი<br>4 თვიანი კურსი | *კურსის ფარგლებში ბენეფიციარები შეისწავლიან ენერგეტიკული დანადგარებისა და მოწყობილობების სამონტაჟო სამუშაოების შესრულებას; ენერგეტიკული დანადგარებისა და მოწყობილობების ექსპლუატაციის პირობების დაცვას, გაუმართაობის დროულ აღრიცხვას, ანალიზს და შესაბამისი ზომების მიღებას; ტექნიკური დოკუმენტაციის, მუშა ნახაზებისა და სქემების წაკითხვასა და მარტივი საინჟინრო გაანგარიშებების ჩატარებას; საინფორმაციო საზომი სისტემების გამოყენებას, კომპიუტერულ აღრიცხვასა და მონიტორინგს; ჯგუფში* |

| | | |
|---|---|---|
| | | *მუშაობასა და სამუშაო უბანზე უსაფრთხოების წესების დაცვას.* |
| ჭრა-კერვის კურსი | 1 მარტი<br>4 თვიანი კურსი | *პროფესიული პროგრამა მოიცავს ყველა საჭირო მნიშვნელოვან ეტაპს მაღალკვალიფიციური სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მოსამზადებლად, რაც უზრუნველყოფს ტანსაცმლის წარმოების ინდუსტრიული მეთოდისა და ტექნიკური განვითარების შესაბამისად მოდური, ხარისხიანი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნას. ყოველი პროფესიული საფეხურის კურსის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულებს გამომუშავებული აქვთ სპეციალური, პროფესიონალური უნარ-ჩვევები. სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული ფლობს პროფესიულ უნარებს სამკერვალო პროდუქციის შექმნის სფეროში.* |
| საკონდიტრო მცხობელის კურსი | 1 მარტი<br>4 თვიანი კურსი | *საკონდიქტო-მცხობელის კურსი მოიცავს, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მიდგომებს, რომელიც ბენეფიციარებს ეხმარება საჭირო ცოდნის შეძენასა და ბაზარზე არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილებაში. კურსის გავლის შემდეგ მსმენელებს შეუძლიათ დასაქმდნენ სხვადასხვა კვების ობიექტში.* |
| კომპიუტერული ბუღალტერიის კურსი | 1 მარტი<br>4 თვიანი კურსი | *კურსის გავლის შემდეგ ბენეფიციარს აქვს სამეურნეო მოვლენების მიხედვით დოკუმენტების შედგენის, საბუღალტრო ანგარიშებში პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ჩაწერის, საბუღალტრო ანგარიშებში ნაშთების გამოთვლის და სხვა საჭირო და ძირითადი ცოდნა.* |

| | | |
|---|---|---|
| ქარგვა, თექა ხელსაქმის კურსი<br> | 1 მარტი<br>4 თვიანი კურსი | *ქარგვისა და თექის კურსი მოიცავს ტრადიციული მოთელვის საბაზისო ტექნოლოგიურ მეთოდებსა და ტექნიკურ ხერხებს, რომლებიც ხორციელდება ნატურალური შალის ფთილისა და როგორც ბუნებრივი, ასევე ქიმიური საღებავების გამოყენებით.* |
| გიდის კურსი | 1 მარტი<br>4 თვიანი კურსი | *გიდის კურსის ფარგლებში ბენეფიციარები გადიან იმ ძირითად საკითხებს, რომელიც აუცილებელია პროფესიონალური გიდის მოსამზადებლად. კურსი პასუხობს ქართული ტურიზმის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებსა და ბენეფიციარებს საშუალებას აძლევს დასაქმდნენ სხვადასხვა სააგენტოებში.* |
| კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება | 1 მარტი<br>4 თვიანი კურსი | *კურსის მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითებს, როგორიცაა: მცირე და საშუალო მასშტაბის ქსელების დაგეგმვა, მონტაჟი და პროგრამული გამართვა; ქსელური სადენების გაყვანა უსაფრთხო და დაცულ ადგილებში, მათი მარკირება და საკომუნიკაციო კარადებში ინსტალირება. ასევე სერვერების განთავსება სპეციალურ სამონტაჟო კარადებში და მათი პროგრამული გამართვა; კომპიუტერული ქსელების ფუნქციონირების მხარდაჭერა და საჭიროების შემთხვევაში მისი კავშირის უზრუნველყოფა ინტერნეტის ქსელთან; ქსელური ოპერაციული სისტემების გამართული მუშაობის მხარდაჭერა და სხვადასხვა სერვისების უზრუნველყოფა.* |
| ხეზე კვეთა და ავეჯის დამზადება | 1 აპრილი<br>3 თვიანი კურსი | *კურსის პროგრამაში შედის ხის მხატვრულად დამუშავება, ხის ნაწარმის დამზადებისა და მხატვრული დამუშავების ტექნოლოგიური პროცესების, მრავალფეროვანი ტექნიკური ხერხების, მასალისა და ხეზე ჭრის სპეციფიკური მეთოდების ერთობლიობა.* |

| | | |
|---|---|---|
| ავტომანქანების შეკეთება და კომპიუტერული დიაგნოსტიკა | 1 აპრილი<br>3 თვიანი კურსი | *ავტომობილის შეკეთებისა და კომპიუტერული დიაგნოსტიკის კურსში შეისწავლება ის ძირითადი ტექნიკური სამუშაოები, რომელიც კომპიუტერული დიაგნოსტიკისაა და ავტომობილის დაზიანებების აღმოფხვრის საკითხების მოსაგვარებლადაა საჭირო.* |
| სანტექნიკა გათბობა კონდიცირების შემსწავლელი კურსი | 1 აპრილი<br>3 თვიანი კურსი | *კურსის ფარგლებში გათვალისწინებული პროგრამა აერთიანებს გათბობის, გაზმომარაგების, ცხელწყალმომარაგების, ვენტილაციას, კონდიცირებსა და ენერგოდაზოგვის საკითხებს.* |
| მეფუტკრეობა | 1 აპრილი<br>3 თვიანი კურსი | *კურსის ფარგლებში ისწავლება მეფუტკრისთვის საჭირო ის ძირითადი საკითხები, რომელიც აუცილებელია ამ დარგის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და დასაქმების შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად.* |
| ტრაქტორის შემსწავლელი კურსი | 1 აპრილი<br>3 თვიანი კურსი | *ბენეფიციარები გაივლიან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასთან მუშაობის თეორიულ და პრაქტიკულ კურსს.* |

| | | |
|---|---|---|
| ოფის-მენეჯერის კურსი | 1 აპრილი<br>3 თვიანი კურსი | *კურსის ფარგლებში ისწავლება: საოფისე მომსახურების ძირითადი სახეები; ადმინისტრაციული საქმის წარმოების წესები; საერთო და სპეციალური საქმის წარმოების წესები; დოკუმენტთა კლასიფიკაცია იურიდიული და პრაქტიკული დანიშნულების მიხედვით; ოფიციალური დოკუმენტების შედგენა–გაფორმება (პირადი, სამსახურებრივი, სავანმკარგულებლო, სააღმსრულებლო, საინფორმაციო, სპეციალური დანიშნულების). საარქივო საქმეთა ფორმირების წესები; საერთაშორისო მიმოწერის სტანდარტები; სხვადასხვა ღონისძიებათა მოწყობის წესები; ადმინისტრაციული და შრომის სამართლის საფუძვლები; ტექსტის რედაქტირების საფუძვლები; პროფესიული ეთიკის და ეტიკეტის წესები.* |
| კომპიუტერული საოფისე პროგრამები | 1 აპრილი<br>3 თვიანი კურსი | *კურსის ფარგლებში ისწავლება კომპიუტერის ძირითადი აგებულება, ფუნქციები და ისეთი პროგრამების გამოყენება, როგორიცაა: Microsoft Word, Excel ,Powerpoint.* |
| ინგლისური ენის კურსი | 1 აპრილი<br>3 თვიანი კურსი |   |
| ბიზნეს გეგმების წერა და ფონდების მოძიება | 1 აპრილი<br>1 თვიანი კურსი | *კურსის ფარგლებში ბენეფიციარები შეისწავლიან ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ბიზნეს მათემატიკის საწყისი კურსი; ბიზნესის საფუძვლები: ბიზნეს გარემო, ბიზნესის რესურსები და ფაქტორები; მცირე ბიზნესის დაგეგმვა და სამეწარმეო გარემო; ბიზნესის შეფასება; მცირე ბიზნესის* |

| | | |
|---|---|---|
| | | *საქონელწარმოების ვენეზისი; დაფინანსებები, ბიუჯეტი, ფინანსური მენეჯმენტი; საქმიანი ურთიერთობების კულტურის ზოგადი საკითხები მცირე ბიზნესში: ორგანიზაციული კულტურა; მცირე ბიზნესის საწარმოს დაგეგმარება, სტრუქტურა და კომუნიკაცია; კარიერის მენეჯმენტი, საშტატო გადაადგილებები; ჯგუფთაშორისი ურთიერთიბები და კონფლიქტების მოგვარება; ორგანიზაციის განვითარების გზები;. ბიზნეს-კომუნიკაციების საფუძვლები მცირე ბიზნესში: კომუნიკაციური უნარ-ჩვევები; საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება; კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაბელურობა და კონფლიქტების მართვა; გადაწყვეტილებების მიღება კარიერის დაგეგმვისა და მისი განვითარების დროს; იმ სამუშაოს დადგენა, რომელიც დაკავშირებული იქნება პერსონალური და პროფესიული უნარ-ჩვევების მაქსიმალურ რეალიზაციასთან.* |
| ფინანსური განათლება | 1 აპრილი<br>1 თვიანი კურსი |  |
| ბიზნეს კონსულტაციები | 1 აპრილი<br>1 თვიანი კურსი | |
| სამოქალაქო განათლება | 1 აპრილი<br>1 თვიანი კურსი |  |
| CV და სამოტივაციო წერილის წერა და წარმატებული გასაუბრების ტექნიკები | 1 აპრილი<br>1 თვიანი კურსი |  |

| | | |
|---|---|---|
| კომპიუტერული დიზაინი | 1 აპრილი<br>1 თვიანი კურსი | |

დაინტერესების შემთხვევაში მიმართეთ სენაკის სათემო განათლების ცენტრს

მისამართი: სენაკი,  სამხედრო დასახლება

ტელ: 413 273200

## შაუმიანის სათემო განათლების ცენტრში დაგეგმილი და მიმდინარე კურსები

| კურსის დასახელება | დაწყების თარიღი/ხანგრძლივობა | კურსის მოკლე აღწერა |
|---|---|---|
| ბავშვთა და ახალგაზრდული აქტივობები  | 02.02.2019<br>3 თვიანი კურსი | *2019 წლის 01 თებერვლიდან შაუმიანის სათემო განათლების ცენტრში მიმდინარეობს ახალგაზრდული აქტივობების უფასო კურსი, რომელმაც დიდი დაინტერესება გამოიწვია სოფელ შუამანის დევნილთა დასახლებაში მცხოვრებ ახალგაზრდებში. მათთან უკვე ჩატარდა პიროვნულ განვითარებასთან დაკავშირებული რამდენიმე აქტივობა და მოაწყვეს სხვადასხვა სახის ღონისძიება. კურსი შედგება ერთი ჯგუფისგან. შეხვედრები ტარდება კვირაში ორჯერ.* |
| ქართული ენის შემსწავლელი კურსი | 04.02.2019<br>3 თვიანი კურსი | *2019 წლის 4 თებერვლიდან შაუმიანის სათემო განათლების ცენტრში მიმდინარეობს ქართული ენის შემსწავლელი უფასო კურსი არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის, რომელიც შედგება ერთი ჯგუფისგან. შეხვედრები ტარდება კვირაში ორჯერ.* |
| ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი | აპრილი<br>3 თვიანი კურსი | *აპრილის თვეში შეიქმნა ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი. პედაგოგი მოწვეულია თბილისიდან. კურსის ფარგლეში გადამზადდება 15 ბენეფიციარი (ერთი ჯგუფი).*   |

| | | |
|---|---|---|
| ბუღალტერიის კურსი | აპრილი<br>4<br>თვიანი კურსი | *აპრილის თვეში შაუმიანის სათემო განათლების ცენტრში გაიხსნება ბუღალტრის კურსი. ბუღალტერი მოწვეული იქნება თბილისიდან. ჯგუფში მონაწილეობას მიიღებს 15 ბენეფიციარი (ორი ჯგუფი).* |
| კერვის კურსი | 04.03.2019<br>6 თვიანი კურსი | *2019 წლის 4 მარტიდან გაიხსნა კერვის კურსი. კურსის ფარგლებში გადამზადდება 20 ბენეფიციარი. ბენეფიციარები, ამავდროულად, შეისწავლიან მატყლის დამუშავებასა და საბნის კერვას.* |
| ხელსაქმის კურსი | 05.03.2019<br>4 თვიანი კურსი | *2019 წლის 5 მარტიდან გაიხსნა ხელსაქმის კურსი. კურსის ფარგლებში გადამზადდება 30 ბენეფიციარი- ორ ჯგუფად. თითო ჯგუფისთვის კურსის ხანგრძლივობა შეადგენს 2 თვეს.* |

დაინტერესების შემთხვევაში მიმართეთ შაუმიანის სათემო განათლების ცენტრს.

მისამართი: მარნეული, დაბა შაუმიანი, ყოფილი სამხედრო დასახლება.

ელ.ფოსტა: shaumiani2.cec@gmail.com